



წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები



- ✓ დაცვის სამსახური ექვემდებარება რექტორს.
- ✓ მათი მოვალეობაა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაიცვას დასესებულების ქონება და უზრუნველყოს სასწავლო პროცესის მშვიდ გარემოში ჩატარება, პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის უსაფრთხოების დაცვა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის დახმარების გაწევა;
- ✓ დაწესებულების დაცვა ხორციელდება 24 საათის განმავლობაში.
- ✓ ექვს თვეში ერთხელ უზრუნველყოფს დაწესებულების შემოწმებას დაცვის კუთხით და ახდენს აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრას;
- ✓ კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს გარკვეული სახის დარღვევაზე რეაგირებას და საჭიროების შემთხვევაში იძახებს პატრულს.
- ✓ დაცვის სამსახური ვალდებულია: ხანძრის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტს;
- ✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის მისვლამდე შეძლებისდაგვარად მიიღოს ზომები ადამიანების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების გადასარჩენად, ხანძრის ჩასაქრობად;
- ✓ ხელი შეუწყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტს ხანძრის ჩაქრობაში, მისი გაჩენის, გავრცელების მიზეზებისა და პირობების დადგენაში, აგრეთვე სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დამრღვევ და ხანძრის გაჩენაში დამნაშავე პირთა გამოვლენაში;
- ✓ უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტების, პერსონალის და დაწესებულების შენობაში მყოფი სხვა პირების დაწესებულებიდან გამოყვანა და მათი უსაფრთხო ადგილას განთავსება;
- ✓ შეძლებისდაგვარად უზრუნველყოს დოკუმენტაციის კომპიუტერული ტექნიკის, ლაბორატორიული მოწყობილობების, ნივთების და ინვენტარის უსაფრთხო ადგილას განთავსება.
- ✓ უზრუნველყოფს დაწესებულებაში უსაფრთხოების წესების დაცვას სწავლი პროცესში.